ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6472974

ნომერი: AR1961711

თარიღი : 20.04.2023

გაცემის თარიღი : 23.05.2023

გაცნობის თარიღი : 23.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამას ქუჩა, N 103;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გურგენიძე პ/ნ 01024055103
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 12ა ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 20 აპრილის №AR1961711 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 27 აპრილის №6435731 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, საცხოვრებელ, საზაფხულო, დამხმარე და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობებში კვლავ შეყვანილია სავენტილაციო შახტების და კოლონების ფართობები. საცხოვრებელ ფართობში ასევე შეყვანილია ბინებისა და აივნების გამყოფი კედლები. აღნიშნული ფართები დატანილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, სავენტილაციო შახტებისა, კოლონების და ბინის შემომზღუდავი კედლების გარეშე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში არ უნდა იქნას შეყვანილი ლიფტის შახტის ფართობები. შეყვანილ უნდა იქნას მხოლოდ -3.10 ნიშნულის გეგმაზე არსებული ლიფტის შახტების ფართობები (სხვა გეგმებზე ლიფტის შახტის ფართობები არ არსებობს (სიცარიელეა), შესაბამისად არც ერთ ფართობში არ შედის). გარდა ამისა, წარმოდგენილ გეგმებზე ნაწილობრივ წაშლილია „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მიზნებისთვის დატანილი აღნიშვნები.
სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) მხოლოდ შესწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 27 აპრილის №6435731 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 28 აპრილს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2023 წლის 22 მაისს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 20 აპრილის №AR1961711 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.